

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“შ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი ჯურაბ ბუცხრიკიძე

„15“ 11 „ 2013 წელი

ეგზ. № 2

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *აღ 38/00*

2013 წელი

სარჩევი

აუდიტის ძირითადი მიზანი	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
ზოგადი მიმოხილვა.....	4
პროგრამული ბიუჯეტი	4
შემოსულობები	5
გადასახდელები.....	6
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	8
ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება	8
ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები	10
ბიუჯეტის განწერა	13
შეუსაბამო კლასიფიცირება	14
სამტატო რიცხოვნობა.....	15
სარეზერვო ფონდი.....	16
საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები	17
პირობითი მოსაზრება	18
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	Error! Bookmark not defined.
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:	Error! Bookmark not defined.

აუდიტის ძირითადი მიზანი

დასკვნის გაცემა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც თავის მხრივ გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

ზოგადი მიმოხილვა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2012 წლის მონაცემებით შეადგენს 25.4 ათას კაცს, ფართობი - 1174.5 კმ²-ს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 20 ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც მოიცავს 82 სოფელს, 1 დაბასა და ერთ ქალაქს¹.

პროგრამული ბიუჯეტი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით მომზადების ვალდებულება წარმოექმნა 2013 წლის პირველი იანვრიდან. პროგრამული ბიუჯეტი არის შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროგრამის მიზანი, მოსალოდნელი შედეგი და მისი შეფასების კრიტერიუმები. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი იმყოფება პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის გარდამავალ ეტაპზე.

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით

შემოსულობები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შემოსულობები განისაზღვრა 4455.0 ათასი ლარით, ხოლო 2013 წლის პირველ ნახევარში დაზუსტებული ბიუჯეტით შემოსულობების მაჩვენებელი გაიზარდა 54.8 %-ით და შეადგინა 6897.7 ათასი ლარი. 2013 წლის 6 თვის შემოსულობების ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 2028.4 ათას ლარს, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 29.4 %-ია.

(ათასი ლარი)					
დასახელება	წლიური დამტკიცებული	6 თვის წლიური დაზუსტებული	პროცენტული ზრდა	6 თვის ფაქტიური	6 თვის შესრულების % წლიურ დაზუსტებულ ბიუჯეტთან
შემოსულობები	4455.0	6897.7	54,8%	202.4	29,4%
<i>შემოსავლები</i>	<i>4355.0</i>	<i>6797.7</i>	<i>56,1%</i>	<i>2017.9</i>	<i>29,7%</i>
გადასახადები	858.2	858.2	0,0%	251.0	29,2%
გრანტები	3322.8	5706.3	71,7%	1661.4	29,1%
გათანაბრებითი	3112.8	3112.8	0,0%	1556.4	50,0%
დელეგირებული	210.0	210.0	0,0%	105.0	50,0%
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0.0	2383.5	0,0%	0.0	0,0%
სხვა შემოსავლები	174.0	233.2	34,0%	105.5	45,2%
<i>არაფინანსური აქტივების კლება</i>	<i>100.0</i>	<i>100.0</i>	<i>0,0%</i>	<i>10.5</i>	<i>10,5%</i>

2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის დაზუსტებულ საპროგნოზო მაჩვენებლებთან დაკავშირებით, გადასახადების სახით მიღებული შემოსავლები შესრულდა - 29.2 %-ით, გრანტები - 29.1 %-ით, სხვა შემოსავლები - 45.2 %-ით, არაფინანსური აქტივების კლება - 10.5 %-ით.

გრანტების ნაწილში გათანაბრებითი და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი ტრანსფერები მიღებულია 50%, ხოლო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხები - სულ 2383.5 ათასი ლარი, 2013 წლის პირველ ნახევარში მუნიციპალიტეტს არ მიუღია.

2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებით გათანაბრებითი ტრანსფერი მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს 1556.4 ათასი ლარი (წლიური გეგმა - 3112.8 ათასი ლარი), ხოლო დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი - 105.0 ათასი ლარი (გეგმა 210.0 ათასი ლარი).

გადასახდელები


თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გადასახდელები განისაზღვრა 4455.0 ათასი ლარით², ხოლო 2013 წლის პირველ ნახევარში გადასახდელები გაიზარდა 67.5 %-ით და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 7462.4 ათასი ლარი³. 2013 წლის 6 თვის გადასახდელების ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 1973.8 ათას ლარს, აქედან ხარჯებია 1724.8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა კი - 249.0 ათასი ლარი.

² ხარჯები - 4113.3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 341.7 ათასი ლარი.

³ ხარჯები - 5131.9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 2330.5 ათასი ლარი.

გადასახდელები (ეკონომიკური კლასიფიკაცია) - 2013 წლის 6 თვე

(ათასი ლარი)



2013 წლის 6 თვის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლი დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაიზარდა 9.1 %-ით (139.6 ათასი ლარი). აღნიშნული გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებსა და საკრებულოში სამტატო ერთეულების (ფრაქციის თავმჯდომარეები) დამატებით ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა დაზუსტებული ბიუჯეტის 39.6%. გამგეობის მიერ 2013 წლის აპრილში გაცემულ იქნა სააღდგომო პრემიები, სულ - 109.9 ათასი ლარის ოდენობით, რაც შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯის 16.6 %-ია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შრომის ანაზღაურების მუხლი გაანგარიშებული იყო თანამდებობის პირთა 14 თვის თანამდებობრივ სარგოზე, რაშიც გათვალისწინებული იყო პრემიაც.

საქონელი და მომსახურების მუხლი დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრა 1414.8 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტდა - 1984.0 ათასი ლარით. 6 თვის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 23.3 % - 462.3 ათასი ლარი, აქედან: მივლინებები - 1.8 ათასი ლარი, ოფისის ხარჯი - 235.2 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის ხარჯი - 0.2 ათასი ლარი, ტრანსპორტის ხარჯები - 118.7 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 106.4 ათასი ლარი.

სუბსიდიები დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 857.0 ათასი ლარით, რაც წლის პირველ ნახევარში დაზუსტდა 1054.2 ათასი ლარით. ფაქტობრივი ხარჯი შეადგენდა დაზუსტებული ბიუჯეტის 36.5%-ს, ანუ 385.1 ათას ლარს. სუბსიდიებით დაფინანსებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული 11 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

დამტკიცებულ ბიუჯეტში სოციალური უზრუნველყოფის მუხლი განისაზღვრა 290.0 ათასი ლარით, რაც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაზუსტების შემდეგ შეადგენდა 406.0 ათას ლარს, ხოლო ფაქტობრივი ხარჯია 215.2 ათასი ლარი, ანუ 53.0%.

არაფინანსური აქტივების ზრდა დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 341.7 ათასი ლარით. დაზუსტებული ბიუჯეტით გაიზარდა 582 %-ით და შეადგინა 2330.5 ათასი ლარი. აღნიშნული ზრდა განპირობებულია სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ხარჯზე. 6 თვის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 10.7%, რაც განპირობებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხების 2013 წლის პირველ ნახევარში მიუღებლობით.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არ მომხდარა პრიორიტეტების განსაზღვრის თაობაზე ოფიციალური დოკუმენტის სათანადოდ შედგენა და საკრებულოში წარდგენა, რაც არ შეესაბამება საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მოთხოვნებს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2012 წლის 14 ნოემბერს №811-1/09 წერილით საკრებულოს განსახილველად წარედგინა 2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი. 2012 წლის 22 ნოემბერს №451-1/11 წერილით საკრებულომ აღნიშნული ბიუჯეტის პროექტი დააბრუნა გასათვალისწინებელი შენიშვნებით. გამგეობამ ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგინა 2012 წლის 26 ნოემბრის №827-1/09 წერილით.

2013 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ №21/1 დადგენილებით დამტკიცდა 2012 წლის 22 დეკემბერს, ხოლო დამტკიცებული ბიუჯეტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რეგიონალურ სამსახურში რეგისტრირებულია 2012 წლის 31 დეკემბერს.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ და რომელსაც აღმასრულებელი ორგანო ადგენს შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით.

პრიორიტეტების დოკუმენტის საკრებულოში წარდგენა განხორციელდა არასათანადოდ, კერძოდ არ მოიცავდა:

- გასული, მიმდინარე და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეირებულ მაჩვენებლებს;
- დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტებს;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი

პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2013 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა 4455.0 ათასი ლარით, სადაც 2013 წლის 6 თვეში განხორციელდა 7 ცვლილება და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 7462.4 ათასი ლარი.

დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები - 2013 წლის 6 თვე

№	დამტკიცებული ბიუჯეტი	წარდგენილია გამგეობის მიერ		შეტანილია ცვლილება საკრებულოს მიერ			რეგისტრაციის თარიღი საქართვებ. იუსტ. სამინისტროს რეგიონალურ სამსახურში	დაზუსტებული ბიუჯეტის ოდენობა (ათასი ლარი)
		თარიღი	წერილის N	თარიღი	დადგენილების N	გაიზარდა (ათასი ლარი)		
1	2	3	4	5	6	7	8	9
	4455.0	14.11.12	811-1/09	22.12.12	21/1		31.12.12	4455.0
1		15.01.13	18-1/09	18.01.13	1	564.8	24.01.13	5019.8
2		01.02.13	47-1/09	08.02.13	3	42.2	15.02.13	5062.0
3		2.02.13	96-1/09	27.02.13	11	17.0	01.03.13	5079.0
4		29.03.13	195-1/09	01.04.13	16	0.0	10.04.13	5079.0
5		11.04.13	243-1/09	16.04.13	17	837.6	24.04.13	5916.6
6		22.04.13	271-1/09	26.04.13	18	880.0	07.05.13	6796.6
7		27.05.13	389-1/09	31.05.13	19	665.8	10.06.13	7462.4

2013 წლის 18 იანვარს, საკრებულოს №1 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 564.8 ათასი ლარით, რომელიც წინა წლის გარდამავალი ნაშთია და ბიუჯეტი დაზუსტდა 5019.8 ათასი ლარით.

საკრებულოს 2013 წლის 8 თებერვლის №3 დადგენილებით - ზრდამ შეადგინა 42.2 ათასი ლარი, რაც განპირობებული იყო შემოსულობების შემოსავლების ნაწილში „სხვა შემოსავლების“ მუხლის ზრდით, ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5062.0 ათასი ლარი.

საკრებულოს 2013 წლის 27 თებერვლის №11 დადგენილების თანახმად, ბიუჯეტის ზრდა განისაზღვრა 17.0 ათასი ლარით, რაც ასევე შემოსულობების შემოსავლების ნაწილში „სხვა შემოსავლების“ მუხლის ზრდამ გამოიწვია და ბიუჯეტი დაზუსტდა 5079.0 ათასი ლარით.

საკრებულოს 2013 წლის პირველი აპრილის №16 დადგენილებით განხორციელდა ბიუჯეტში შიდა მუხლობრივი ცვლილება, „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან მოხდა 40.0 ათასი ლარის გადატანა არაფინანსური აქტივების ზრდაში.

მორიგი ცვლილება ბიუჯეტში განხორციელდა საკრებულოს 2013 წლის 16 აპრილის №17 დადგენილებით და ბიუჯეტი გაიზარდა 837.6 ათასი ლარით, ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5916.6 ათასი ლარი. აღნიშნული ზრდა განპირობებულია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებით.

საკრებულოს 2013 წლის 26 აპრილის №18 დადგენილებით ბიუჯეტი გაიზარდა 880.0 ათასი ლარით, რომელიც მუნიციპალიტეტს გამოეყო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის №321 განკარგულებით, სტიქიის სალიკვიდაციოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6796.6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვეში ბიუჯეტში ბოლო ცვლილება განხორციელდა საკრებულოს 2013 წლის 31 მაისის №19 დადგენილებით და ბიუჯეტი გაიზარდა 665.8 ათასი ლარით, რაც 2013 წლის 17 მაისის საქართველოს მთავრობის №466 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხაა. აღნიშნულით 2013 წლის 6 თვეში ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7462.4 ათასი ლარით.

გამოვლენილი გარემოება №1

მუნიციპალიტეტის 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხშირად, რამდენჯერმე შეიტანეს ცვლილებები. განხორციელებული 7 ცვლილებიდან 3 ცვლილება განაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერებმა, დანარჩენი 4 ცვლილება კი მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმარების ხარვეზებზე. კერძოდ, შემოსავლების არასათანადო დაგეგმვის შედეგად, თებერვალში განხორციელდა 2 ცვლილება - სხვა შემოსავლების 59.2 ათასი ლარით ზრდის გამო, ხოლო პირველ აპრილს - 40.0 ათასი ლარის შიდა მუხლობრივი გადანაწილება, რომლის დასაბუთება წარმოდგენილ ბიუჯეტის ცვლილების დოკუმენტში არ არის განსაზღვრული.

გამოვლენილი გარემოება №2

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №311 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი (837.6 ათასი ლარი) თანხიდან 800.0 ათასი ლარი გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტში შიდა გზებისა და ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, ხოლო 37.6 ათასი ლარი - სოფლებში

სასმელი წყლის სისტემების, მუნიციპალიტეტის შიდა გზებისა და ქუჩების საპროექტო დოკუმენტაციის მომსახურების შესყიდვისათვის.

აღნიშნულის საფუძველზე ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილება და გადასახდელები გაიზარდა 837.6 ათასი ლარით.

გამგეობის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის ცვლილებაში ზრდა განიცადა ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლებმა, კერძოდ:

- შრომის ანაზღაურება - 13.0 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1.8 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 2.0 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 820.8 ათასი ლარი.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №672 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის დაზუსტებულ გეგმაში აღნიშნული ტრანსფერი უნდა აისახოს სრულად არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერი მთლიანად ასახულია არაფინანსური აქტივების ზრდაში, ხოლო შრომის ანაზღაურების, საქონელი და მომსახურების, აგრეთვე სუბსიდიის მუხლები გაზრდილია არაფინანსური აქტივების მუხლის - გარე განათების კაპიტალური ხარჯების 16.9 ათასი ლარით შემცირების გამო. აღნიშნული შიდა მუხლობრივი გადანაწილება ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებაში დასაბუთებული არ არის.

ბიუჯეტის განწერა

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია მოამზადოს ადგილობრივი


თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი 2013 წლის ბიუჯეტის ყოველკვარტალური ან ყოველთვიური განწერები. აღნიშნულით არ არის შესრულებული საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის მოთხოვნა⁴.

შეუსაბამო კლასიფიცირება

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში არასწორად არის ასახული 6.2 ათასი ლარი, რაც არ შეესაბამება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 672 ბრძანებას.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია - 2013 წლის 6 თვე (ათასი ლარი)



⁴ საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლი: „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, საფინანსო ორგანო ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას“.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ფუნქციონალური კლასიფიკაციის ეკონომიკური საქმიანობის ღონისძიებებში, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ხარჯებში ასახულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფელ ივანოვკისათვის სასმელი წყლის ტუმბოს გამანაწილებელი კარადისა და პოლიეთილენის მილის შესყიდვა, ღირებულებით - 6.2 ათასი ლარი.

კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული ხარჯი მიეკუთვნება საბინაო-კომუნალური მეურნეობის ღონისძიების წყალმომარაგების ხარჯებს.

საშტატო რიცხოვნობა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში საშტატო რიცხოვნობა ასახულია შეუსაბამოდ.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საშტატო რიცხოვნობა 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განსაზღვრულია 147 საშტატო ერთეულით. საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 იანვრის №10 ბრძანებით, მუნიციპალიტეტის საშტატო რიცხოვნობა გაიზარდა 5 ერთეულით და შეადგინა 152 საშტატო ერთეული⁵, რაც შეუსაბამობაშია წარმოდგენილ ბიუჯეტის მონაცემთან, სადაც ასახულია 149 საშტატო ერთეული.

საშტატო ერთეულების შემდეგი დაზუსტება განხორციელდა 2013 წლის 23 თებერვალს (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება №22) და განისაზღვრა 158 საშტატო ერთეულით⁶, ხოლო ბიუჯეტში საშტატო რიცხოვნობის ზრდა არ აღინიშნა. საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 27 მაისისა (№68) და 29 მაისის (№69) ბრძანებებით, საშტატო ერთეულები გაიზარდა ჯამში, 10 ერთეულით და შეადგინა

⁵ გამგეობა - 134 ერთეული, საკრებულო - 18 ერთეული.

⁶ გამგეობა - 135, საკრებულო - 22 ერთეული.

168 ერთეული⁷, ხოლო 6 თვის დაზუსტებულ ბიუჯეტში კვლავ ასახულია არაზუსტად - 169 ერთეული.

სულ, 2013 წლის პირველ ნახევარში საშტატო რიცხოვნობის ზრდამ შეადგინა 21 ერთეული. ზემოაღნიშნულით, წარმოდგენილ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში საშტატო რიცხოვნობა მითითებულია შეუსაბამოდ.

სარეზერვო ფონდი

თეორიწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში დამტკიცებული სარეზერვო ფონდიდან გაწეული ხარჯი - 6.6 ათასი ლარი სარეზერვო ფონდის ფაქტობრივ ხარჯებში არ არის ასახული.

2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი გათვალისწინებული იქნა 50.0 ათასი ლარის ოდენობით, დადგენილი ნორმის (1.1 %) ფარგლებში. მიმდინარე წლის 6 თვეში დაზუსტებულმა ასიგნებამ შეადგინა 15.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად გაწეულია 6.6 ათასი ლარის ხარჯი. აქედან, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული სახურავების დროებითი გადახურვის მიზნით შესყიდულია წყალგაუმტარი ტენტები, ღირებულებით - 0.2 ათასი ლარი; აღნიშნული საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაწყებად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვაზე გაწეული ხარჯია 5.9 ათასი ლარი და დევნილთა დასახლებაში საცხოვრებელი კორპუსების საკანალიზაციო სისტემის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვაზე - 0.5 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდით განსაზღვრული თანხები გამგებლის ბრძანებების საფუძველზე გამოყენებულ იქნა დანიშნულებით.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მიხედვით სარეზერვო ფონდის ფაქტობრივი

⁷ შტატები გაიზარდა ტერიტორიულ ორგანოებში.

შესრულება ნულია, როდესაც გამგებლის მიერ გამოცემული ბრძანებებით გაწეულია 6.6 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი.


საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის შესრულების ანგარიშებში დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მიკუთვნებულია საკუთარ შემოსულობებს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის დაზუსტებული საპროგნოზო მაჩვენებლებით, სულ შემოსულობებიდან 65.5% მიეკუთვნება საკუთარ შემოსულობებს, 34.5% კი არასაკუთარ შემოსულობებს, ხოლო 6 თვის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულებით - სრულად საკუთარ შემოსულობებს.

საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობების დიაგრამა 2013 წლის 6 თვე

(ათასი ლარი)



თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებაში არ არის გამიჯნული საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები. კერძოდ, მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოეყო 210.0 ათასი ლარის მიზნობრივი ტრანსფერი - სოციალური დახმარებისა და

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სუბსიდირებისათვის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის. 2013 წლის 6 თვეში სულ მიღებულ იქნა 105.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერებში ასახვისა, მიკუთვნებულია საკუთარ შემოსულობებს⁸.

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებაზე განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსს, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №241 ბრძანებას, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №672 ბრძანებას, აგრეთვე სხვა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

⁸ საბიუჯეტო კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად - „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსულობები“.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორი:
გიორგი შურღია



ხელმოწერა 14.11.2013წ.თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
თეა უდესიანი



ხელმოწერა 14.11.13წ.თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
ზურაბ ტუსკაძე



ხელმოწერა 14.11.13წ.თარიღი